საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. თებერვლის 15. № 4 ტფილისი

შინაარსი

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-VII ყრილობის დადგენილებანი.

სახელმწიფო წყობილება.

17. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 46, 48, 49, 52, 53, 54, 64 და 78 მუხლების შეცვლისა და 51 მუხლის გაუქმების შესახებ.

18. მთავრობის მოხსენების გამო.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

19. კოლხიდმშენის შესახებ.

განათლება.

20. კულტურული მშენებლობის შესახებ საქართველოს სსრ-ში.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-VII ყრილობის დადგენილებანი

სახელმწიფო წყობილება

17. დადგენილება

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 46, 48, 49, 52, 53, 54, 64 და 78 მუხლების შეცვლისა და 51 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხ. „ა“ პუნქტის საფუძველზე სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა მე-VII ყრილობა ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილ იქნეს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები:

1. 44 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„44. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მოაწყობს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენილობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილენი, სახალხო კომისრები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე“.

2. 48 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„48. სახელმწიფო მმართველობის იმ ცალკეული დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის, რაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობას ეკუთვნის, მოეწყობიან სახალხო კომისარიატები, რომელნიც მოქმედობენ სრულიად საქაროველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად. იმავე ამოცანების განსახორციელებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სახალხო კომისარიატების გარდა, შეიძლება დაარსებულ იქნენ აგრეთვე სხვა ცენტრალური ორგანოები, რომელნიც უშუალოდ დაექვემდებარებიან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს. შრომის საკითხების ხელმძღვანელობას ანხორციელებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო“.

3. 49 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„49. სახალხო კომისარიატები, რომელნიც განაგებენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად გაერთიანებულ დარგებს სახელმწიფო მმართველობისას, და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, უკანასკნელი—შრომის სახელმწიფო მოწესრიგების საკითხებში (მუხ. 48), ექვემდებარებიან რა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით, კუთვნილებისამებრ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და სრულიად საკავშირო და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დირექტივებსა და დავალებებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 51 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

5. 52 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„52 სახალხო კომისრები ერთპიროვნად სწყვეტენ ყველა საკითხს, რაც სათანადო სახალხო კომისარიატის გამგებლობას ეკუთვნის“.

6. 53 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„53. სახალხო კომისრები თავიანთი მოქმედებისათვის პასუხს აგებენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე“.

7. 54 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„54. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი შეიძლება გააუქმონ სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, მისმა პრეზიდიუმმა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ. იმ სახალხო კომისარიატების განკარგულებანი, რომელნიც განაგებენ სახელმწიფო მმართველობის გაერთიანებულ დარგებს (მუხ. 49), და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს განკარგულებანი, უკეთუ ისინი დამყარებულ არ არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის ან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებებზე, შეიძლება, ამის გარდა, გააუქმონ, კუთვნილებისამებრ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო გაერთიანებულმა სახალხო კომისარიატებმა და სრულიად საკავშირო და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებმა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს განკარგულებანი ეწინააღმდეგებიან მიცემულ დირექტივებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონმდებლობას ან ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობას“.

8. 64 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„64. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ეწყობა:

ა) სოფლად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას—სასოფლო საბჭოები, რომელთა დეპუტატებიც არჩეულ უნდა იქნენ მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით;

ბ) ქალაქად—საქალაქო საბჭოები, რომელთა დეპუტატებიც არჩეულ უნდა იქნენ ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას მუშები არ შეადგენენ, შეიძლება მოეწყოს სასოფლო საბჭოები, რომელთა დეპუტატებიც აირჩევიან მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ რიცხვს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს დეპუტატების არჩევა, და აგრეთვე იმ ქალაქების სიას, სადაც ეწყობა საქალაქო და სასოფლო საბჭოები, დაადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი".

64 მუხლის მე-2 და მე-3 შენიშვნა (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) ამოშლილ იქნეს.

9. 78 მუხლი (კან. კრ. 1931 წ. № 9, მუხ. 92) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„78. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები მოაწყობენ სათანადო სარესპუბლიკო და საოლქო ორგანოებს სახელმწიფო მმართველობის ავტონომიური დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის (განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა, სასამართლო) და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის გაერთიანებული დარგების გამგებლობისთვის (ადგილობრივი მრეწველობა, მიწათმოქმედება, შინა-ვაჭრობა, კომუნალური მეურნეობა, შრომა). ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან განწესებულ არიან აგრეთვე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის იმ სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი, რომელნიც უშუალოდ განაგებენ სახელმწიფო მმართველობის დარგებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

ის ორგანოები, რომელნიც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში განაგებენ სახელმწიფო მმართველობის გაერთიანებულ დარგებს, ექვემდებარებიან რა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატებისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დირექტივებსა და დავალებებს, კუთვნილებისამებრ, და ამ უკანასკნელ ორგანოებს უფლება აქვთ გააუქმონ მათი განკარგულებანი, უკეთუ ისინი დამყარებულ არ არიან სათანადო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებებზე და ეწინააღმდეგებიან მიცემულ დირექტივებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონმდებლობის, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობას ან საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონმდებლობას. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი, არიან რა ამ კომისარიატების ორგანოები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, თავიანთი მოქმედების ანგარიშს ურდგენენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს".

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის მდივანი **თ. ელენტი.**

1935 წ. იანვრის 13.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 16 №-ში 1935 წ. იანვრის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მმართველობა

18. დადგენილება

მთავრობის მოხსენების გამო.

საქართველოს საბჭოების მე-VII ყრილობა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. მგალობლიშვილის საანგარიშო მოხსენება მთავრობის საქმიანობის შესახებ საქართველოს საბჭოების მე-VI ყრილობიდან მე VII ყრილობამდე გასულ პერიოდში, სწორად სთვლის მთავრობის მიერ მის მუშაობაში გატარებულ პოლიტიკურ ხაზს და მთლიანად იწონებს მის პრაქტიკულ მუშაობას.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის—დიდი სტალინის—ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა მიაღწია გრანდიოზულ და გადამწყვეტ გამარჯვებებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ჩამორჩენილ, წერა-კითხვის უცოდინარ, აგრარულ ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა ინდუსტრიალურ, წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად, ლითონის, ქვანახშირის, ნავთის, ელექტრონის, ქიმიის, მანქანათმშენებლობის, მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი სასოფლო მეურნეობის ქვეყანად.

სოფლად საბოლოოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, რომელიც მოიცავს გლეხურ მეურნეობათა ორ მესამედს და მთელი ნათესი ფართობის 90 პროცენტს.

სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა ქალაქად და სოფლად.

ჩვენი ქვეყნის წარმატებებისა და განუზომლად გაზრდილი სამეურნეო ძლიერების მკაფიო მაჩვენებელია პურის ბარათების გაუქმება და პურის ფართო ვაჭრობაზე გადასვლა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიურმა ძლიერებამ და კულტურულმა აყვავებამ უმაგალითოდ განამტკიცეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობა, მისი თავდაცვის უნარი.

საბჭოთა სოციალისტურმა საქართველომ, აზერბაიჯანის და სომხეთის მოძმე რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე, ამიერკავკასიის ფედერაციის—„ბურჟუაზიის დროს უნახავი და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის“ (ლენინი)—ამ ნიმუშის—სამეურნეო და პოლიტიკური ძლიერების განუხრელად განმტკიცების საფუძველზე გასული ოთხი წლის განმავლობაში მიაღწია უდიდეს გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ათობით აგებული და ამუშავებულია ახალი ობიექტები—რიონჰესი, ზაჰესი (მეორე რიგი), ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები, უდიდესი ქარხანა—ამხ. კიროვის სახელობის ნავთბურღვანქი, ავტოსარემონტო ქარხანა, ფერომარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განეცის ქარხანა; ელექტროფიცირებულია რკინის გზის უბანი ზესტაფონ-ხაშური—ტფილისი და ა. შ.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიზარდა ერთი-სამად. წარმოებს ჩაის და ციტრუსოვანი კულტურების ფართო დანერგვა და ათვისება. საქართველო ხდება ნამდვილ საბჭოთა „ფლორიდად". საგრძნობლად გადიდდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა. კოლმეურნეთა შემოსავლიანობამ თავთავიანი კულტურების მხრით აღმოსავლეთ საქართველოში მიაღწია საშუალოდ 12 ცენტნერს მეურნეობაზე გასული წლის 8 ცენტნერის მაგივრად, ხოლო დასავლეთ საქართველოში—8,4 ცენტნერს—7,6 ცენტნერის მაგივრად. კოლმეურნეობათა ხვედრითმა წონამ საერთო პროდუქციაში 1934 წელს მიაღწია ჩაის დარგში—66 პროც., შაქრის ჭარხლის—88,1 პროც., ბამბის—73,8 და თამბაქოს—40,7 პროცენტს.

ამ წარმატებათა საფუძველზე 1934 წელს კოლმეურნეობებში შევიდა 16.000-ზე მეტი გლეხური მეურნეობა.

რაოდენობრივ ზრდასთან ერთად სამეურნეო და ორგანიზაციული მხრით თვალსაჩინოდ განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობანი: მარცვლეულის, მეცხოველეობის, მევენახეობის, ჩაის, ციტრუსების და სხვა საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც მთლიანად შეასრულეს თავისი დიდი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. მთავრობის და პარტიის უდიდესი მუშაობის შედეგად უკანასკნელი წლის განმავლობაში დაიწყო მეცხოველეობის აღმავლობა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა 1931 წლის 56,2 მილიონ მანეთიდან 239 მილიონ მანეთამდე 1934 წელს.

1931 წლიდან 1934 წლამდე საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 1.436 მილიონი მანეთი.

საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 494,2 მილიონ მანეთიდან 1.175 მილიონ მანეთამდე (საზკვების გამოკლებით), კერძო სექტორის ხვედრითი წონა ვაჭრობაში დაყვანილია ნოლამდე.

საგრძნობლად გაიზარდა მშრომელთა მატერიალური და სოციალურ-კულტურული დონე, სახალხო მეურნეობაში დაბანდებული მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი გადიდდა 289 ათასიდან 329 ათასამდე; ხელფასის ფონდი ოთხი წლის განმავლობაში გაიზარდა 95 პროცენტით—368 მილიონი მანეთიდან 609 მილიონ მანეთამდე, სოციალური დაზღვევის ხარჯები გაიზარდა 28,8 მილიონი მანეთიდან 49,4 მილიონ მანეთამდე; ჯანმრთელობის დაცვის—24 მილიონ მანეთიდან 57 მილიონ მანეთამდე, სახალხო განათლების—45,5 მილიონ მანეთიდან 133,2 მილიონ მანეთამდე; მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეობის პროცენტი ოთხი წლის მანძილზე გადიდდა 82,6 პროცენტიდან 91,2 პროცენტამდე. მოსწავლეთა რიცხვი დაწყებით სკოლებში გაიზარდა 329 ათასიდან 409,6 ათასამდე, არასრულ საშუალო სკოლაში—63,9 ათასიდან 113,3 ათასამდე. მოსწავლეთა კონტინტენტმა უმაღლეს სასწავლებლებში მიაღწია 19,8 ათას კაცამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთების რაოდენობა 5-დან აყვანილია 166-მდე; მხატვრული ლიტერატურის პროდუქცია 2,5 მილიონ ნაბეჭდ ფურცლიდან ავიდა 6 მილიონამდე; საგრძნობლად გაიშალა კომუნალურ-საბინაო მშენებლობა (დაბანდებათა თანხა უდრის 207,4 მილიონ მანეთს).

ფართოდ გაიშალა საკურორტო მშენებლობა, რომელმაც ჩვენი კურორტები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობის კერად გადააქცია.

ამ წარმატებებს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მიაღწია პარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ამხ. ბერიას მეთაურობით, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის გადაწყვეტილებათა და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის პირად მითითებათა განუხრელად განხორციელების საფუძველზე.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით, საბჭოების მე-VII ყრილობა ავალებს საქართველოს მთავრობას განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი.

მრეწველობის დარგში.

1. იმის გამო, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპებთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, უზრუნველყოფილ იქნას ტყვარჩელის რაიონული ჰიდროელსადგურის პირველი რიგის ამუშავება, აწჰესის მშენებლობის დამთავრება 1935 წლის დამლევისათვის, და დაჩქარდეს ხრამჰესის მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ ამუშავდეს იგი 1937 წელს.

ამასთან ერთად ფართოდ გაიშალოს ადგილობრივი მნიშვნელობის პატარა ელსადგურების მშენებლობა წყლის იაფი ენერგიის ბაზაზე.

2. სათბობის მოხმარების განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებით გადიდდეს ქვანახშირის ამოღება, უწინარეს ყოვლისა, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მთლიანად ათვისებით და ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქციით.

გაძლიერდეს შირაქის ნავთის საბადოების გეოლოგიურ-საძიებლო მუშაობა იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში დაწყებულ იქნას მათი სამრეწველო ექსპლოატაცია.

3. დაჩქარდეს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია, რათა უახლოეს სამ წელიწადში დამთავრდეს ეს მუშაობა.

უზრუნველყოფილ იქნას 1935 წელს 1.150 ათასი ტონა მარგანეცის ამოღება.

უზრუნველყოფილ იქნას 26 ათასი ტონა ფერომარგანეცის გეგმის შესრულება ფერომარგანეცის ქარხნის მიერ 1935 წელს, და დამთავრდეს შენების პროცესში მყოფი მეორე სამი ღუმელის მშენებლობა 1935 წლის დამლევისათვის.

4. კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს სამთამადნო მრეწველობის შენ-ლობა (ბარიტი, გუმრინი, დიატომიტი და სხვ.), რომელსაც საქართველოში განვითარების დიდი პრესპექტივა აქვს.

5. საქართველოში სამთომადნო მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ფართოდ გაიშალოს გეოლოგიურ-საძიებლო მუშაობა მიწის სასარგებლო წიაღის გამოსავლინებლად.

ყრილობა, რომელიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს მოლიბდენის საბადოებს, ავალებს საქართველოს მთავრობას უზრუნველყოს მოლიბდენის სამუშაოების დამთავრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებულ ვადაში.

6. სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად საშენი მასალით ყრილობა საჭიროდ სთვლის საშენი მასალის მრეწველობის შემდგომ განვითარებას და ავალებს საქართველოს მთავრობას, უწინარეს ყოვლისა, მთლიანად დატვირთოს და გამოიყენოს საშენი მასალის არსებული საწარმოები, ამასთან უზრუნველყოს ისინი საჭირო მოწყობილობით და სათბობით და ამ მიზნისათვის ყოველნაირად გამოიყენოს ადგილობრივი მდიდარი ნედლეულის რესურსები.

7. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი მსუბუქი და კვების ინდუსტრიის (საფეიქრო, სამკერვალო, ტყავის, ფეხსაცმელის, კონსერვის, შაქრის და სხვ.) შემდგომ განვითარებას, რისთვისაც მსუბუქი მრეწველობის არსებულ საწარმოთა სრული სიმძლავრის ათვისებასთან ერთად 1935 წლის განმავლობაში დამთავრდეს ტფილისის ფეხსაცმელის ფაბრიკის მშენებლობა და გადაცემულ იქნას იგი საექსპლოატაციოდ. დაჩქარდეს ტფილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ქუთაისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის და სხვ. მშენებლობა.

უზრუნველყოფილ იქნას საექსპლოატაციოდ გადაცემა 1935 წლის პირველ ნახევარში ქაღალდის ფაბრიკისა, რომელიც ტფილისში შენდება.

მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები ადგილობრივი და შინა-მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, უმთავრესად არადეფიციტური ნედლეულის რესურსების, უტილის ნარჩენების და სხვ. გამოყენების ბაზაზე.

8. გადაჭრით გაუმჯობესდეს კვების მრეწველობის გამოშვებული პროდუქციის (კონსერვები, მაკარონი, საკონდიტრო ნაწარმი და სხვ.) ხარისხი, და საგრძნობლად გაფართოვდეს ასორტიმენტი.

9. მოეწყოს ტყის ნარგავების უფრო გულმოდგინედ დაცვა, საგრძნობლად გაფართოვდეს მუშაობა ტყეების მოწყობის, სატყეო კულტურის, ტყის განახლების ღონისძიებათა ხაზით, და მოხდეს ხე-ტყის მასივების უფრო რაციონალური ექსპლოატაცია.

10. ყრილობას მრეწველობის ძირითად ამოცანად მიაჩნია გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის ყოველმხრივ გაუმჯობესება, სამე-

ურნეო ანგარიშის განმტკიცება, მტკიცე ფინანსიური დისციპლინის გატარება და თვითღირებულების შემდგომი შემცირება.

სოფლის მეურნეობის დარგში.

სოფლის მეურნეობის დარგში ყრილობას მთავარ ამოცანად მიაჩნია კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და განხორციელება ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. სტალინის ლოზუნგისა: „გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო კოლმეურნეი—შეძლებულებად“.

ყრილობა ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს მტკიცეთ და თანამიმდევრობით მიაღწიონ კოლმეურნეობათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას (ბრიგადების განმტკიცება, სწორი დაგეგმვა, აღრიცხვა და შრომის ნორმირება) და ისეთი რენტაბელური კულტურების დანერგვას კოლმეურნეობათა განსაზოგადოებულ მეურნეობაში, როგორიცაა ხეხილის ნარგავები, დაფნა, ვენახი, მშრალი სუბტროპიკები (ფუსტუღი, ნუში და სხვ.), ბოსტნისა და ბაღჩის კულტურები.

11. სუბტროპიკული კულტურების (ჩაი და ციტრუსები) შემდგომი განვითარება და მათი მოსავლიანობის გადიდება უნდა მოექცეს ყველა ორგანოს ყურადღების ცენტრში. ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა 1935 წელს აყვანილ უნდა იქნას 1400 კილოგრამამდე ჰექტარზე. ციტრუსების მხრით მუშაობა უნდა გაიშალოს ისე, რომ 1933 წელს მივსცეთ საბჭოთა კავშირის მშრომელებს არა ნაკლებ 500 მილიონი ციტრუსოვანი ნაყოფისა.

12. ამასთან ერთად მიღებულ იქნას ყველა საჭირო ღონისძიება მევენახეობის და მეხილეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოში, რისთვისაც 1935 წლიდან კიდევ უფრო გაიშალოს მუშაობა ამერიკული ვაზის, მებაღეობისათვის საჭირო სარგავი მასალის სადედეების გასაფართოებლად, და მოხდეს პლანტაციის სამუშაოების მექანიზაცია.

13. დაევალოს მთავროპას განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება (თესლთბრუნვის დანერგვა, საადრო ხვნა, თესვა ხარისხოვანი თესლით, სასუქის შეტანა და სხვ.) ყველა კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის და მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების საერთო პროდუქციის გადიდებისათვის.

14. ყრილობა ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველყოს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების არსებული პარკის უკეთ გამოყენება და სრული დატვირთვა.

15. წინადადება მიეცეს ყველა საბჭოთა—სამწათმოქმედო ორგანოს, კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა ერთპიროვნულ მეურნეთა შორის და განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოს მათ საკოლმეურნეო შრომისა და ჩვენი კოლმეურნეობების ორგანიზაციული სამეურნეო განმტკიცების საქმეში მიღწეულ წარმატებათა უპირატესობანი.

მიღწეულ იქნას პროლეტარული სახელმწიფოს ყველა დავალებისა და ვალდებულებათა მთლიანად შესრულება ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ და განუხრელად განხორციელდეს კოლმეურნეთა ყველა უპირატესობა ერთპიროვნულ მეურნეთა წინაშე, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კანონებით.

16. იმის გამო, რომ მეცხოველეობის აღმავლობის დარგში 1934 წელს დასახული გარდატეხა ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოა, ყრილობა ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ განხორციელებულ იქნას საკ. კ.პ. (ბ) მე-XVII ყრილობის დირექტივები და ამხ. სტალინის მითითებანი რომ „მეცხოველეობის საქმე თავის ხელში უნდა აიღოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკებმა, პარტიულებმა და უპარტიოებმა“ (სტალინი)

ყრილობა ავალებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს ჩაატარონ ღონისძიებანი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კერძოდ მიიღონ ყველა საჭირო ზომები მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების განსამტკიცებლად და მათი მუშაობის მოსაგვარებლად და უზრუნველყონ კოლმეურნეთა უძროხობის ლიკვიდაცია უკვე 1935 წელს.

საგზაო მშენებლობისა და ტრანსპორტის ხაზით.

17. დაისვას ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და ყველა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე საბრძოლო ამოცანა მოსპონ უგზოობა საქართველოში, ძირითადად, უახლოეს ორ-სამ წელს, მოიყვანონ უახლოეს ორ წელს ყველა არსებული გზა რიგიან მდგომარეობაში, ბოლო მოუღონ გზების მოუვლელობასა და მოაწყონ მათი სწორი ექსპლოატაცია და კულტურულად შენახვა.

ამ მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ორი-სამი წლის განმავლობაში დამთავრდეს დაწყებული ახალი საგზაო მშენებლობა და გზების რეკონსტრუქცია იმ ანგარიშით, რომ რაიონებს მიეცეს გასასვლელი რკინის გზის ხაზებისა და რესპუბლიკის კულტურულ ცენტრებისაკენ;

ბ) დაგებულ იქნას გუდრონი უახლოეს წლებში 10—25 კილომეტრის რადიუსით მსხვილ ცენტრებთან მისასვლელი ტვირთზიდვის მხრით დიდად დაძაბული გზების ყველა უბანში (ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი, ბორჯომი, სტალინირი).

18. ყრილობა სთვლის, რომ რკინის გზის ტრანსპორტი, მის მუშაობაში არსებულ წარმატებათა მიუხედავად, ჯერ კიდევ რჩება ვიწრო ადგილად სახალხო მეურნეობაში; ყოველნაირად, გაუმჯობესდეს რკინის გზის მუშაობა შრომის დისციპლინის განმტკიცების, ტვირთბრუნვის განუხრელი ზრდისა და მშრომელების საჭიროებათა კულტურული მომსახურეობის მხრით, და ამავე დროს უახლოეს წლებში დამთავრდეს შავი ზღვის რკინის გზის (ოჩემჩირე—ადლერი) მშენებლობა, გაყვანილ იქნას მეორე ლიანდაგი ზესტაფონ-ხაშურ-ტფილისის უბანზე და მთლიანად ათვისებულ იქნას ამ უბნის ელექტროფიკაცია.

19. ზოგიერთი წარმატების მიუხედავად, ყრილობა სთვლის, რომ ყველა სახის კავშირგაბმულობის მუშაობა საქართველოში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, და წინადადებას აძლევს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის უფრო მკაფიოდ მუშაობის მოწყობას. ამასთან ერთად, აუცილებელია მიღებულ იქნას ყველა ზომა ყველა სახის კავშირგაბმულობისა და, განსაკუთრებით, ტელეფონის ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის, ამოცანად დაისახოს ყველა სასოფლო საბჭოს დაკავშირება რაიონულ ცენტრებთან ტელეფონის ქსელით.

საქონელბრუნვის გაშლის ხაზით.

20. დაევალოს მთავრობას გაადიდოს 1935 წელს ადგილობრივი და შინამრეწველობის საქონლის საბაზრო ფონდების ხვედრითი წონა სულ მცირე 15 პროცენტით 1934 წლის დონესთან შეფარდებით.

21. უფრო ფართოდ გაიშალოს საკოლმეურნეო-საგლეხო ვაჭრობა, წესრიგში იქნას მოყვანილი სასოფლო და საქალაქო ბაზრები.

კოლმეურნეობათათვის საწარმოო ტექნიკური დახმარების აღმოჩენის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებულ დამზადებათა შემდგომი გაშლა.

22. გარდაიქმნას სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა ისე, რომ ყურადღების ცენტრში დაისვას სისტემატური ბრძოლა საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტისათვის, ფასების საბჭოთა პოლიტიკის მტკიცეთ დაცვისა და მომხმარებლის კულტურული მომსახურეობისათვის.

გაგრძელდეს ბრძოლა ზომასა და წონაში მომხმარებლის მოტყუების წინააღმდეგ და უზრუნველყოფილ იქნას ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის, კერძოდ, დეპუტატთა ჯგუფების მონაწილეობა ამ მუშაობაში.

23. ყრილობა ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს გადასინჯოს ფინანსიურ-ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლებისა და სავაჭრო კოოპერატიული ტექნიკუმების პროგრამები სპეციალურ დისციპლინათა ციკლების გადიდების მიმართულებით და მოაწყოს პრაქტიკული მეცადინეობის ჯეროვანად დაყენება (სწავლა სათანადო სამმართველოებში, ბაზებში, საწყობებში და სხვ.), რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადდენ სავაჭრო საქმის სპეციალისტები, რომლებიც კულტურული საბჭოთა ვაჭრობის ამოცანების შესაფერისი იქნებიან.

ყრილობა სთვლის—ყველა საბჭოთა ორგანოს ამოცანა ამჟამად მდგომარეობს იმაში, რომ მიაღწიონ საკ. კ.პ. (ბ) მე-XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებას: „აუცილებელია, რომ ჩვენი ქვეყანა დაიფაროს სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, დუქნების მდიდარი ქსელით, აუცილებელია, რომ ბაზების, მაღაზიების, დუქნების არხებით შეუწყვეტლივ მიდიოდეს საქონელი წარმოების ადგილებიდან მომხმარებლამდე“ (სტალინი).

განათლების ხაზით.

24. დამთავრდეს 1935 წელს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოზრდილ მოსახლეობაში და მთლიანად გატარდეს საყოველთაო სწავლება დაწყებითი სკოლის მოცულობით 1935 წელს და არასრული საშუალო სკოლის მოცულობით მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის.

25. გაძლიერდეს ბრძოლა სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის სკოლებში, და მიღწეულ იქნას მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

ჯანმრთელობის დარგში.

26. საგრძნობლად გაფართოვდეს საექიმო დახმარების ქსელი სოფლად და გაუმჯობესდეს ავადმყოფთა მომსახურეობის ხარისხი.

27. მიღწეულ იქნას უახლოეს წლებში მალარიით დაავადების შემთხვევების მაქსიმალური შემცირება მალარიის კერათა ლიკვიდაციის სათანადო ღონისძიებათა ჩატარების გზით.

28. გაძლიერდეს ბავშთა სამედიცინო მომსახურეობა ბავშთა სპეციალური სამედიცინო დაწესებულებათა (საავადმყოფოები, სანატორიუმები, ბავშთა ბაგები და სხვ.) გაფართოების გზით.

29. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საკურორტო ავადმყოფთა მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. დაჩქარდეს უმნიშვნელოვანესი კურორტების (წყალტუბო, ბორჯომი, აბასთუმანი, გაგრა, ქობულეთი და სხვ.) კეთილმოწყობა, და ჩატარდეს ღონისძიებანი საკურორტო მომსახურეობათა გაიაფებისათვის.

დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაამუშაონ საკითხი ადგილობრივი კურორტების უფრო ფართო გამოყენების შესახებ.

კომუნალურ-საბინაო მშენებლობის დარგში.

30. კომუნალურ-საბინაო მეურნეობის დარგში გაძლიერდეს კომუნალური მშენებლობა (აბანოები, წყალსადენები, კანალიზაცია, ქუჩების კეთილმოწყობა

და სხვ.) ყველა ქალაქსა და რაიონის ცენტრებში, და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს და ამიერკავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის დედაქალაქის—ტფილისის გადაქცევას სანიმუშო, კულტურულად კეთილმოწყობილ ქალაქად.

აღმოიფხვრას ჩამორჩენა საბინაო მშენებლობაში, ამასთან საგრძნობლად გაფართოვდეს ეს მშენებლობა, როგორც საბინაო კოოპერაციის და აღმასრულებელ კომიტეტების ხაზით, ისე სამეურნეო ორგანიზაციების (მრეწველობა, საბჭოთა მეურნეობები და სხვ.) ხაზითაც.

31. ყრილობა ყველა ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის მტკიცეთ დაცვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების შემდგომ ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად, ყრილობა საჭიროდ სთვლის დამოუკიდებელი სასოფლო ბიუჯეტის შექმნას.

32. საბჭოების ყრილობა აღნიშნავს იმ მნიშვნელოვან მუშაობას, რომელიც საქართველოს სსრ მთავრობამ ჩაატარა ავტონომიების სამეურნეო-კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში (ბიუჯეტის ზრდა, ასიგნობათა ზრდა სამრეწველო-საწარმოთა მშენებლობის სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის, სამთამადნო სიმდიდრეების გამოვლინება).

ყრილობა წინადადებას აძლევს მთავრობას შემდეგშიაც განაგრძოს მუშაობა ავტონომიების, კერძოდ სამხრეთ-ოსეთის, საწარმოო ძალთა განვითარებისათვის (ტყვია-თუთიის საბადოები, ტალკი, ქვანახშირი და სხვა სამთამადნო სიმდიდრენი).

33. ყრილობა ავალებს მთავრობას რევოლუციური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის უზრუნველყოს იუსტიციის ორგანოები სათანადო კადრებით და კიდევ უფრო გააუმჯობესოს მათი მუშაობის ხარისხი.

ყრილობა აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემის კრიზისი, რომელიც ახლაც გრძელდება და რომელმაც უკიდურესობამდე გაამწვავა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, უფრო და უფრო აძლიერებს სოციალიზმის ქვეყნის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საფრთხეს.

საქართველოს საბჭოების მე-VII ყრილობა ავალებს მთავრობას შემდეგშიაც განაგრძოს მუშაობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარისა და ჩვენი ძლევამოსილი მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების ამაღლებისა და განმტკიცებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა, მგზნებარე რევოლუციონერის და სოციალიზმის მშენებლის ამხ. კიროვის საზიზღარ მკვლელობასთან დაკავშირებით, მოუწოდებს რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა და დაუნდობელი ბრძოლისაკენ განადგურებული კლასობრივი მტრის ნაშთების წინააღმდეგ.

საქართველოს მუშები და კოლმეურნეები ამიერკავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან, ერთად კიდევ უფრო შეამჭიდროებენ თავის რიგებს ლენინური კომუნისტური პარტიის და მთელი მსოფლიო მშრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა ბელადის ამხ. სტალინის გარშემო და საბჭოების დროშით გასწავლენ წინ ახალი გამარჯვებისაკენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. იანვრის 14.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 14 №-ში 1935 წ. იანვრის 15.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

19. დადგენილება

კოლხიდმშენის შესახებ.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წარმატებათა საფუძველზე, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების და სუბტროპიკული და ძვირფასი ტექნიკური კულტურების ყოველნაირად განვითარების შესახებ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის—დიდი სტალინის—მითითებათა განუხრელად განხორციელების გზით, პარტიამ და მთავრობამ კოლხიდის დაბლობის ამოშრობის დარგში, რომელსაც საკავშირო სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, როგორც საბჭოთა კავშირის ტენიანი სუბტროპიკების ძირითად რაიონს, უკანასკნელი წლების მანძილზე ჩაატარეს უდიდესი მუშაობა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოში არის შესაძლებელი.

ჭაობიანი კოლხიდის დაბლობის გიგანტური მასივი 217 ათასი ჰექტარი, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოს (ფოთის, ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშის, ლანხჩუთის, მახარაძის რაიონები), აფხაზეთის (გალის, ოჩემჩირის რაიონები) და ნაწილობრივ აჭარისტანის რაიონებში, პარტიის და მთავრობის ლენინისეულებებით მძვინვარე მალარიის კერიდან იქცევა საბჭოთა ფლორიდად.

1932 წელი კოლხიდის ამოსაშრობ სამუშაოებისათვის წარმოადგენს გარდატეხის წელიწადს. მაშინ როცა 1932 წლამდე მიწის სამუშაოები კოლხიდაში შესრულებული იყო სულ 920 ათასი კუბ. მეტრი, ხოლო სახსრები მშენებლობაში დაბანდებული იყო 4.316 ათასი მანეთი, 1932-34 წლების განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის სამუშაოები ჩატარებულია 4.506 ათასი კუბ. მეტრი და დაბანდებულია 29.631 ათასი მანეთი.

1935 წლის 1-ლ იანვრისათვის უკვე ამოშრობილია ფოთის რაიონში—309 ჰექტარი, ხობის რაიონში—5.538 ჰექტარი, სენაკის რაიონში—6.621 ჰექტარი, აბაშაში—1.052 ჰექტარი, ლანჩხუთისაში—561 ჰექტარი და მახარაძის რაიონში—520 ჰექტარი. გარდა ამისა, თვით ქალაქ ფოთში ამოშრობილია 501 ჰექტარი, აქედან უკვე ათვისებულია ციტრუსებისათვის—350 ჰექტარი, და ლანჩხუთის რაიონში—1.250 ჰექტარი არსებული ჩაის პლანტაციებისათვის, სულ 16.352 ჰექტარი.

ამოშრობილი მიწის აღნიშნული რაიონებიდან 7.000 ჰექტარზე მეტი მომზადებულია, და იქ შეიძლება გაშენდეს უძვირფასესი სუბტროპიკული, ტექნიკური და სამკურნალო კულტურები, როგორიცაა: ციტრუსები—მანდარინი, გრეიფრუტი, ლიმონი, ფორთოხალი; საფეიქრო კულტურები—რამი, ახალზელანდური სელი, იუკა, დრაცენი; ზეთეულნი—ევკალიპტი, გერანი, ვერბენი; სუბტროპიკული ხეხილი—ფეიხოა, მუმძულა, ხურმა, პეკანი და სხვ., აგრეთვე სამკურნალო მებაღეობა და მეყვავილეობა ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, დასასვენებელი სახლების და სხვათა გასამწვანებლად.

დაწყებულია დიდი სამუშაოები, მდინარე რიონის გადასაგდებად, რასაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ამის შედეგად ამ ამოშრობილ მიწებზე შექმნილია ყველა საჭირო პირობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და განმტკიცებისათვის და ამოშრობილ მიწებზე დასახლებული პირველი 2.609 გლეხური მეურნეობის—კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა—მატერიალური კეთილდღეობის ასაწევად.

მთელ ამ მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მექანიზაციამ. კოლხიდის ამოსაშრობად ამჟამად მუშაობს მიწის მთხრელთა, ექსკავატორთა, მუხლუხოვან ტრაქტორთა და ავტომანქანათა მძლავრი პარკი, რამაც საშუალება მოგვცა გასულ 1934 წელს შეგვესრულებია ყველაზე უფრო მძიმე მიწის სამუშაოები მექანიკური იარაღით (მიწის მთელი სამუშაოების 62 პროც. ანუ 1.700 ათასი კუბ. მეტრი).

ასეთია კოლხიდის ამოსაშრობად და ასათვისებლად პარტიის, მთავრობისა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომლის ბრძოლის პირველი შედეგები.

ყველა ეს წარმატება კოლხიდის ამოშრობის საქმეში მიღწეულია იმ დიდი ყურადღების მეოხებით, რომელსაც ამ საქმეს აქცევდენ საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ. და პირადად ამხ. სტალინი, და იმ ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, რომელსაც იჩენდენ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ., პარტიის სამხარეო კომიტეტი და მისი ხელმძღვანელი ამხ. ლავრენტი ბერია.

დასავლეთ საქართველოს რაიონების მთელი მოსახლეობის საუკუნოებრივი ოცნება—თავი დააღწიოს მალარიის საშინელ კერას—კოლხიდის ჭაობებს, ყოველწლიურ წყალდიდობას, რომელსაც უამრავი უბედურება მოაქვს, სულ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფრო რეალურად ხორციელდება. საქართველოს საბჭოების მე-VII ყრილობა მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამუშაოებს კოლხიდის ამოსაშრობად, დარაზმოს ამ დიდი საქმის გარშემო მუშები, კოლმეურნეები და ყველა მშრომელი.

საბჭოების მე-VII ყრილობა ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს მთავრობას განიხილოს კოლხიდის ამოშრობის სამუშაოთა გეგმა 1935 წლისათვის იმ ანგარიშით, რომ:

ა) ძირითადად დამთავრდეს 1935 წელს მდინარე რიონისთვის კალაპოტის შეცვლის სამუშაოები და უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ღონისძიებებით ახალი ფართობების მიღება კოლხიდმშენის სამუშაოთა იმ გეგმის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია საკავშირო მთავრობის მიერ;

ბ) მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ყველა მექანიზმის სიმძლავრე და ნაყოფიერება, შემცირდეს სამუშაოთა თვითღირებულება, შრომის და საწარმოო საშუალებათა უკეთ ორგანიზაციის გზით;

გ) უზრუნველყოფილ იქნას წვრილი საშრობი ქსელის გაყვანა 200 მეტრიან თხრილებს შუა და ასათვისებელი უბნების დაგეგმვა;

დ) მოეწყოს გაყვანილი საშრობი ქსელის გულდასმით მოვლა და ექსპლოატაცია;

ე) გაიშალოს სამუშაოები გზატკეცილებისა და ყამირგზების ფართო ქსელის მშენებლობისათვის ამ საქმეში თვით მოსახლეობის შრომითი რესურსების იზიდვით და გზის უზრუნველსაყოფად სათანადო ხიდებით, როგორც მაგისტრალურს, ისე დანარჩენ თხრილებზე;

ვ) გაძლიერდეს საცდელ-საკვლევო სამუშაოები კოლხიდის სასოფლო-სამეურნეო ათვისების დარგში.

2. კოლხიდის ამოშრობილი და ამოსაშრობი მიწების სამეურნეო მხრით სავსებით მიზანშეწონილი გამოყენების მიზნით, ყრილობა ავალებს საქართველოს მთავრობას:

ა) 1935 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმებში განსაკუთრებით გაითვალისწინოს ამოშრობილ მიწებზე სიმინდის და სხვა კულტურათა ნათესების გაფართოება (როგორც წინამორბედებისა ნიადაგის მოსამზადებლად, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურებისათვის) მოსახლეობის არჩევით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას აგროტექნიკულ ღონისძიებათა გატარება მოსავლიანობის გასადიდებლად;

ბ) დამუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებანი კოლხიდის ტყეების საექსპლოატაციოდ, ამასთან დატოვებულ იქნას ქარისაგან დამცველი ზოლების საჭირო რაოდენობა, და მხედველობაში იქნას მიღებული მოსახლეობის სამეურნეო მოთხოვნილება ხე-ტყის მხრით; ტყისა და ჯაგნარის ამოძირკვა მოხდეს მტკიცე გეგმიანი წესით;

გ) ამოშრობილ მიწებზე სახნავის სრული და უკეთესი ათვისების ამოცანებთან შეფარდებით, ტყის ნაკვეთების და საძოვრების (მეცხოველეობის განსა-

ვითარებლად) შენარჩუნების გათვალისწინებით, გაძლიერდეს კოლხიდის რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პარკი ამომძირკველი მანქანებით და მძლავრი ტრაქტორებით;

დ) ყოველნაირად შეეწყოს ხელი კოლმეურნეობათა ინიციატივას ახალი მიწების ასათვისებლად კოლხიდაში, და, ხონის და ხორაგოულის რაიონების მაგალითის მიხედვით, მიემაგროს კოლმეურნეობებსა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს ამოშრობილი მიწები სამეურნეო ათვისებისათვის; ამასთან დატოვებულ იქნას მათზე ფაქტიური მიწათსარგებლობა ძველ ნაკვეთებზე;

ე) დამუშავდეს და განხორციელდეს ლონისძიებანი ამოშრობილი და ამოსაშრობი მიწების ახლად დასახლებისათვის უკვე 1935-36 წლებში (ახალი სოფლების დაგეგმვა). ამასთან დაკავშირებით, მოხდეს იმ შეღავათების ფართო პოპულარიზაცია, რომლებიც გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებით კოლხიდაში დასახლებულთათვის: „განთავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სამი წლით, ხოლო ერთპიროვნული მეურნენი—ორი წლით; განთავისუფლებულ იქნან მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კარაქის, მატყლის სავალდებულო ჩაბარებისაგან, აგრეთვე ბოსტნეულის კონტრაქტაციისაგან კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი ორი წლით, ხოლო ერთპიროვნული მეურნენი—ერთი წლით".

ყრილობა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს კოლხიდის ამოშრობის სამუშაოთა უდიდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, მოუწოდებს საქართველოს ყველა მშრომელს, მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერების და ტექნიკის მოღვაწეებს მიიღონ უაღრესად აქტიური მონაწილეობა იმ ისტორიული ამოცანების შესრულებაში, რომელნიც დასვა დიდმა სტალინმა კოლხიდის გადაქცევის შესახებ საბჭოთა კავშირის სუბტროპიკების აყვავებულ ბაღად.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. იანვრის 14.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 16 №-ში 1935 წ. იანვრის 17.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

20. დადგენილება

კულტურული მშენებლობის შესახებ საქართველოს სსრ-ში.

910

პარტიის გენერალური ხაზის განუხრელად გატარებით, მთელი თავისი მუშაობის აგებით ლენინურ სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევ საფუძ

ველზე საბჭოთა საქართველომ, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ნაცუმცირესობათა რაიონებთან ერთად, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საგრძნობ წარმატებებს მიაღწია კულტურული მშენებლობის დარგში.

გადაჭრილია კულტურული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა— დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლების სრული განხორციელება და უზრუნველყოფილია ყველა პირობა შვიდწლიანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების დამთავრებისათვის 1937 წელს; გადალახულია მემარჯვენე—„მომემარცხენო" მიმდინარეობანი საბჭოთა პოლიტექნიკური სკოლის საკითხებში; შექმნილია სტაბილური პროგრამები და სახელმძღვანელოები; ამაღლდა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა; მიღწეულია საგრძნობი წარმატებანი მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეში; მოხდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ფართოდ გაიშალა მისი მუშაობა თავისი ექვსი სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტით; მოეწყო ქუთაისის, სოხუმის და სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები; საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა ქსელი; მეტეხის ციხის ყოფილ შენობაში მოეწყო ხელოვნებათა მუზეუმი. მიღწეულია უდიდესი წარმატებანი ქართულ, აგრეთვე აფხაზურ და ოსურ ენებზე მხატვრული ლიტერატურის გამოცემის დარგში. სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გაქანებასთან შეფარდებით, განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება თეატრალური ხელოვნება, მუსიკა, მხატვრობა, კინო და სხვა.

ამ მიღწევებთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ კულტურული მშენებლობის დარგში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს: სუსტად არის გაშლილი მუშაობა სკოლის ასაკამდე აღზრდის დარგში; არა მჭიდროდ დასახლებულ მთიან ადგილებში, აგრეთვე ზოგიერთ ნაცუმცირესობათა რაიონებში სავსებით არ არის განხორციელებული დაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლება ინტერნატების უქონლობისა და სათანადო კადრების ნაკლებობის გამო; სასკოლო მშენებლობა, ამ დარგში ჩატარებული დიდი მუშაობის მიუხედავად, ჩამორჩება მოსწავლეთა რიცხვის უდიდეს ზრდას, რის გამო სასწავლო მეცადინეობა ხდება ორ წყებად, ხოლო ალაგ-ალაგ სამ წყებადაც; სწავლების და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საბჭოთა სკოლას უყენებენ; მოსწავლეები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან შეიარაღებული მეცნიერების საფუძვლების მტკიცე ცოდნით.

მთელ რიგ რაიონებში სათანადოდ ვერ აფასებენ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის უდიდეს მნიშვნელობას. ამხ. სტალინის მკაფიო მითითებების მიუხედავად, პედაგოგიური განათლება ჯერ კიდევ ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს. სტუდენტობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი და არ გამხდარა საქალაქო საბჭოების და განათლების ორგანოების განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველობის საგნად. სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილებანი ჯერ კიდევ არ არიან განმტკიცებული კვალიფიციური კადრებით.

ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს მასწავლებელთა ახალგაზრდა კადრების, განსაკუთრებით ნაცუმცირესობათა შედგენილობიდან, ზოგიერთი ფენების პედაგოგიური და მეთოდური მომზადების არასაკმაო დონეს.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს მთელ რიგ რაიონებში საბჭოთა მასწავლებლებისადმი უყურადღებო მოპყრობას, ხელფასის დაგვიანების შემთხვევებს, ცუდ საბინაო პირობებს.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი საქართველოში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა უზრუნველყოფენ კულტურული მშენებლობის შემდგომი გაშლის შესაძლებლობას მის ყველა დარგში.

ყრილობა ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დაამუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის განვითარების დასაჩქარებლად, ამასთან უზრუნველყოს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბინაო-საიჯარო ამხანაგობების და კოოპერაციის ფართო მონაწილეობა ამ საქმეში. განათლების სახალხო კომისარიატმა, საქალაქო საბჭოებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ სკოლის ასაკამდე აღზრდის არსებული დაწესებულებანი სათანადო კადრებით, შესაფერი სადგომებით, მოწყობილობით და სასწავლო-აღმზრდელობითი სახელმძღვანელოებით.

2. ყრილობა წინადადებას აძლევს საქალაქო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს მოაწყონ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მთლიანად განხორციელებაზე, განსაკუთრებით ნაცუმცირესობათა რაიონებში; ამასთან იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს თავისი უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას, მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები. ყველა საბჭოთა და პროფესიულმა ორგანიზაციამ, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობა სადგომებით, გათბობით, განათებით, ლიტერატურით იმ ანგარიშით, რომ მიღწეულ იქნას მოზრდილი მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია 1935 წელს.

3. მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნებისა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ზრდის მიზნით, ყრილობა საჭიროდ სცნობს— მიღწეულ იქნას სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევების სრული ლიკვიდაცია, და პასუხისმგებლობა ამისათვის დაეკისროს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

4. დაევალოს განათლების ხალხო კომისარიატს ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოს თვითეული სკოლა სწავლის ნორმალური პირობით (სადგომით, მოწყობილობით, სასწავლო ხელსაწყოებით და კვალიფიციური პედაგოგებით) და გაატაროს ღონისძიებანი ყველა სკოლის საჭირო სასწავლო საგნებით უზრუნველსაყოფად; საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობის საფუძველზე დაუყოვნებლივ გაშალოს მუშაობა იმ მხრით, რომ ფართოდ მოეწყოს სკოლის გარეშე კულტმასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის.

დაევალოს ყველა საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს არა უგვიანეს ა/წ. მარტისა გამოუყონ სასოფლო და საქალაქო სკოლებს მიწის ნაკვეთები სასწავლო და დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად.

აღნიშნავს რა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალისტური მიწათმოქმედების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში, ყრილობა ავალებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს პირადად ადევნონ თვალყური აღნიშნული სკოლების მუშაობას, ამასთან მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები სწავლების უკეთ ორგანიზაციისათვის და იმისათვის, რომ აღნიშნული სკოლების მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ამოცანებს.

განათლების სახალხო კომისარიატმა უზრუნველყოს რაიონები უშუალო ხელმძღვანელობით, რისთვისაც მიამაგროს რაიონებს მომზადებული მეთოდისტები და ორგანიზატორები, მოამარაგოს სკოლები და მასწავლებლები პედაგოგიური ლიტერატურით; ამასთან აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების დროს პირველ რიგში ყურადღება მიაქციოს ნაცუმცირესობათა რაიონების მომსახურეობას.

5. სკოლების უზრუნველსაყოფად პედაგოგთა მომზადებული კადრებით ყრილობა ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებით განიხილოს საკითხი საქართველოში პედაგოგიური ინსტიტუტების და პედაგოგიური ტექნიკუმების ქსელის გაფართოების შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატმა მიაღწიოს იმას, რომ სავსებით იქნას დაკმაყოფილებული ნაცუმცირესობათა რაიონების მოთხოვნილება პედაგოგიურ კადრებზე. ფართოდ გაშალოს დაუსწრებელი განათლების პრაქტიკა და მიზნად დაისახოს 1939 წლამდე უმაღლესი განათლება მიაღებიოს არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ყველა პედაგოგს. ამასთან ერთად, სახელმწიფო უნივერსიტეტთან ასპირანტურის გაძლიერების გზით, ჩაატაროს ღონისძიებანი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის საჭირო მაღალკვალიფიკაციური კადრების მოსამზადებლად. საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა და საქალაქო საბჭოებმა მიაღწიონ პედაგოგიური სასწავლებლების სტუდენტთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას, უზრუნველყონ პედაგოგიური სასწავლებლები საჭირო ლაბორატორიებით, სახელოსნოებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით და ლიტერატურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მოახდინონ მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების ლიკვიდაცია და მომავალში არ დაუშვან ხელფასის გაცემის დაგვიანება. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ პასუხისგებაში მისცეს ყველა ის პირი, რომელიც დაუშვებს მასწავლებელთა ხელფასის დავალიანებას.

6. სამეურნეო-საგამოკვლევო ინსტიტუტებმა კიდევ უფრო დაუკავშირონ თავისი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამუშაოს ღონისძიებანი ქართული ლიტერატურის, ისტორიის, მუსიკის, მხატვრობისა და არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების გამოკვლევისა და გამოცემისათვის. საქალაქო საბჭოებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ სიძველის ძეგლთა დაცვა. რესპუბლიკათა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქალაქო საბჭოებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა გაშალონ სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

7. ყრილობა აღნიშნავს საბიბლიოთეკო მუშაობის დიდ მნიშვნელობას და წინადადებას აძლევს განათლების სახალხო კომისარიატებს, საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს გაითვალისწინონ ბიუჯეტში სახსრები არსებული ბიბლიოთეკების და ქოხსამკითხველოების განმტკიცებისა და შემდგომი გაფართოებისათვის, განსაკუთრებით ნაცუმცირესობათა რაიონებში, ამასთან უზრუნველყონ ნაცუმცირესობათა ლიტერატურის შემოტანა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე მისი გამოცემა ტფილისში; გააფართოვონ რაიონულ ბიბლიოთეკებში საბავშვო განყოფილებანი.

8. თეატრალური ხელოვნების შემდგომი ზრდისა და გაუმჯობესების მიზნით, ყრილობა წინადადებას აძლევს სახალხო კომისართა საბჭოს დაამუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თეატრებისა და კლუბების რაიონებში დაწყებული მშენებლობის დამთავრებას უმოკლეს ვადაში. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატებს განამტკიცონ სახალხო მუსიკალური ინსტრუმენტების დამკვრელ მუსიკოსთა კოლექტივები, სახკინმრეწვმა გაშალოს ხმოვანი კინოთეატრების ქსელი დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას სახალხო შემოქმედებას ხელოვნების დარგში, ყრილობა ავალებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასახოს ღონისძიებანი ყველა სახის ფოლკლორის შეკრებისა და შესწავლისათვის.

9. სასკოლო მშენებლობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და სკოლაში ორ-სამ წყებად მეცადინეობის აღმოფხვრის მიზნით, ყრილობა წინადადებას აძლევს სახალხო კომისართა საბჭოს დაამუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო მშენებლობის შემდგომ გაშლას და არსებულ სასკოლო შენობების რემონტს. ამას გარდა, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, განათლების სახალხო კომისარიატს უნდა დაუბრუნდეს ყველა სასკოლო შენობა, რომელიც უჭირავთ დარგობრივ

უმაღლეს სასწავლებლებს, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს, ტექნიკუმებსა და სხვ. დაწესებულებებს.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დასახოს ღონისძიებანი ტფილისში სტუდენტთა ქალაქის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამასთან ყოველწლიურად გაითვალისწინოს სათანადო უმაღლესი სასწავლებლისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ბიუჯეტში საჭირო ასიგნობანი.

10. აღნიშნავს რა, რომ მასების კომუნისტური აღზრდა და მთელი კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ყრილობა ავალებს ყველა საქალაქო საბჭოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო განათლების ორგანოებს, უზრუნველყონ მშრომელი მასების შემდგომი აქტიობის ზრდა მეორე ხუთწლედის—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედის—ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში კულტურული მშენებლობის დარგში.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და
წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების
მე-VII ყრილობის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. იანვრის 14.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 18 №-ში 1935 წ. იანვრის 20.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1935 წ. № 8. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 1¾ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 31/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II; ტირაჟი 2.000.

მთავ. რწმუნ. № 8708. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 214